საია აცხადებს კონკურსს კვლევის მომზადების თაობაზე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აცხადებს კონკურსს კვლევის მომზადების თაობაზე. საკვლევ საგანს წარმოადგენს: **გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების მეთოდები ევროპის ქვეყნებში.**

კვლევაში განხილული უნდა იყოს გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშულის გამოძიების მეთოდებთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობისა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები. როგორია ამა თუ იმ სახელმწიფოს მიდგომა/პოლიტიკა, გამოძიების სტანდარტები, გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით. აღნიშნულის გარდა კვლევა ასევე უნდა მოიცავდეს, იმ პრობლემების აღწერილობით ნაწილს, რომელიც თან ახლავს გამოძიებას.

კვლევისთვის დადგენილი ძირითადი სტანდარტები:

1. კვლევას უნდა წაემძღვაროს მოკლე ინფორმაცია კვლევის ძირითადი მიგნებების შესახებ და მასში არ უნდა იქნეს გამოყენებული სქოლიოები და ეს ნაწილი უნდა შეიცავდეს მოკლე და ზოგად ინფორმაციას კვლევაში ასახული ძირითადი მიგნებების შესახებ. შესაბამისად, კვლევის ამ ნაწილში უნდა აისახოს კვლევის ყველაზე

მნიშვნელოვანი გამონათქვამები და დასკვნები, აგრეთვე აღწერდეს მის სტრუქტურას;

2. კვლევა უნდა იყოს ერთიანად სტრუქტურირებული და შედგებოდეს, შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. ტექსტის ძირითადი ნაწილის სტურქტურირებისას შეძლებისდაგვარად დაცული უნდა იქნეს საამისოდ გათვალისწინებული სამსაფეხურიანი სისტემა: I., 1., ა.; „I“ და „1“ დონეები უნდა დასათაურდეს ქვესათაურებით. „ა“ და „აა“ (არსებობის შემთხვევაში) დონეები არ უნდა დასათაურდეს.
3. სქოლიოები არ უნდა აჭარბებდნენ ტექსტის მთლიანი მოცულობის 10%-ს. სქოლიოს მითითებისას ავტორმა უნდა დაიცვას მის მიერ არჩეული სქოლიოს წარმოების ერთიანი სტილი. ავტორმა სქოლიოში უნდა მიუთითოს თავის მიერ მოყვანილი ციტატებისა და ფაქტობრივი გარემოებების წყარო.
4. ტექსტი შესრულებული უნდა იყოს AcadNusx _12 ფონტით, უცხოენოვანი ტექსტი _ Time New Roman _12 ფონტით, სქოლიო _ იმავე ფონტების “10” ზომით; სტრიქონები უნდა დაშორდეს ერთი ინტერვალით. თითოეული გვერდი უნდა დაინომროს გვერდის ბოლოს, მარჯვენა მხარეს.
5. კვლევის ტექსტი ძირითადად, უნდა გადმოიცეს III პირში, ავტორი საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად მაქსიმალურად უნდა მოერიდოს I პირში თხრობას. კვლევას არ დაერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია (წყაროები განთავსებულია სქოლიოებში).

პირობები:

1. კვლევის მომზადებისთვის შეირჩევა ერთი პირი;
2. გადაწყვეტილება იქნება მიღებული ფასისა და შესრულების დროის მიხედვით;
3. დაინტერესებულმა პირებმა 2018 წლის 28 თებერვლის (18:00 სთ.) ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

- CV
- კვლევის განხორციელების მეთოდოლოგია, მათ შორის იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელიც შესწავლილი იქნება კვლევის ფარგლებში და მათი შერჩევის არგუმენტაცია. ამასთან, კვლევის მიზნებისათვის შერჩეული ქვეყნები უნდა წარმოადგენდეს როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებს, რომლებსაც წარსულში ქონდათ საქართველოს მსგავსი გამოწვევები საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით და წარმატებით განახორციელეს შესაბამისი რეფორმა და ამასთან მათი სოციალურ პოლიტიკური განვითარების დონე საქართველოს მსგავსია.

კვლევა მზადდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ ფარგლებში.

განაცხადი უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართებზე: ნინო ჩიხლაძე - chikhladze@gyla.ge